

ენობრივი სიმბიოზი და ტრანსკულტურული წერის მანერა

ნინო ხარატიშვილის რომანში: „მერვე თაობა (ბრილკასთვის)“

სოფიო მუჯირი

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის გერმანული ფილოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.

I. შესავალი

გლობალიზაციის, დიგიტალიზაციის, აქტიური მიგრაციისა და მობილობის საუკუნეში ცხოვრების რიტმი ისეა აჩქარებული, რომ თითქმის აღარავის რჩება დრო წაიკითხოს ნინო ხარატიშვილის საკმაოდ დიდტანიანი რომანი, რომელიც 1275 გვერდს მოიცავს. რომანის შთამბეჭდავმა ფორმატმა შეიძლება წიგნი გვერდზე გადაგადებინოს მისი უფრო თავისუფალ დროს წაიკითხვის საბაბით. მაგრამ, თუკი რომანის პირველივე გვერდები რაღაც განსაკუთრებულს გვთავაზობს, მაშინ შეიძლება საქმე გადავდოთ გვერდზე და დღევანდელი დამაბული ცხოვრების ტემპი რომანის კითხვით შევაცოვნოთ. ნინო ხარატიშვილის რომანი „მერვე თაობა (ბრილკასთვის)“ სწორედ განსაკუთრებულს გვთავაზობს. იგი გვიყვება „წითელი“ მეოცე საუკუნის, საქართველოსა და რუსეთის, ჯაშების ოჯახისა და მასთან დაკავშირებული ისტორიული მოვლენების შესახებ, რომელიც მოიცავს კომუნისტური რეჟიმის, სამამულო ომის, „პერესტროიკის“, საბჭოთა კავშირის დაშლის, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის და ბერლინის კედლის ნგრევის პერიოდებს. რომანი მოგვითხრობს კომუნისტური სისტემის აღზევებასა და ნგრევაზე და ამ ნანგრევებში მოყოლილი ადამიანების ბედზე. ნ. ხარატიშვილი უაღრესი სიზუსტით წარმოაჩენს რომანში მეოცე საუკუნის საქართველოსა და რუსეთის ურთიერთმიმართებებსა და ისტორიულ ფაქტებს, აღწერს „რკინის ფარდის“ მიღმა მომხდარ მოვლენებს, რომლებსაც იგი ორი წლის მანძილზე გულდაგულ იკვლევდა თბილისის, მოსკოვისა და სანკტ-პეტერბურგის ბიბლიოთეკებსა და არქივებში, რასაც მოჰყვა მისი დაჯილდოვება რობერტ ბოშის ფონდის სტიპენდიით. რომანში აღწერილი მოვლენები დამორგუნველია, მაგრამ მათი ისტორიული აუთენტურობა საკმაოდ საინტერესო და შთამბეჭდავია.

რომანი შედგება შვიდი წიგნისგან. მერვე წიგნი ცარიელია. ამ წიგნის ფურცლები ჯაშების ბოლო, მერვე თაობის წარმომადგენელმა - ბრილკამ უნდა შეავსოს. პირველი 7 წიგნი ეძღვნება მისი დიდი ბაბუის - შოკოლადის ფაბრიკანტის და მისი შთამომავლების ცხოვრების აღწერას. ეს წიგნებია: 1.სტასია [მერვე თაობა (ბრილკასთვის) 2008:37], 2. ქრისტინე [იქვე:129] 3. კოსტია [იქვე:207] 4. კიტი [იქვე:367] 5. ელენე [იქვე:543] 6. დარია [იქვე:859] 7. ნიცა [იქვე:1177]. ბრილკას გარდა, ჯაშების ყველა თაობის ცხოვრებაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს შოკოლადის ფაბრიკანტის საიდუმლო რეცეპტით დამზადებული „ცხელი შოკოლადი“, რომელიც რომანის ლეიტმოტივია და ვერტიკალურ, კოჰერენტულ პარადიგმას ქმნის. ჯაშების დიდმა ბაბუამ საკონდიტრო საქმე ყირიმსა და ევროპაში შეისწავლა. ბუდაპეშტსა და ვენაში მოიპოვა ცხელი შოკოლადის უნიკალური რეცეპტი, რათა საქართველოში შოკოლადის საკუთარი ფაბრიკა და საკონდიტრო გაეხსნა [მერვე თაობა (ბრილკასთვის)2008:48]. ცხელი შოკოლადი რუსულ - ევროპული საკონდიტრო ხელოვნების საუცხოო სიმბიოზია, რომლის დაგემოვნება ადამიანებს სიხარულს ანიჭებს და დარდს უმსუბუქებს.

ის მათ ეხმარება ცხოვრებისეული კატაკლიზმებისა და ქვეყნის ისტორიის ყველაზე რთული პერიოდების გადატანაში, თუმცა შემდგომ მათი ცხოვრება კიდევ უფრო აუტანელი ხდება. ეს წარმოუდგენლად გემრიელი შოკოლადი მცირე დოზით შეიცავს რაღაც საიდუმლო კომპონენტს, რომელსაც წყველა და უბედურება მოაქვს რომანის პროტაგონისტებისთვის. ამიტომ, ცხელი შოკოლადის დამზადების საიდუმლოს მხოლოდ ჯაშების ოჯახის ქალები ფლობენ და მას შემდეგ თაობებს გადასცემენ [მერვე თაობა (ბრილკასთვის) 2008:74, 76-77]. ავტორი მხოლოდ რომანის დასასრულს მიანიშნებს ცხელი შოკოლადის ფერის კონოტაციაზე და თუ რატომ თესავს რუსულ - ევროპული რეცეპტით დამზადებული ცხელი შოკოლადი განშორებას, ბოროტებასა და სიკვდილს, როგორცაა მაგალითად, სტასიას და სიმონ ჯაშის შეხვედრის შედეგი - უიღბლო ქორწინება და სიმონის დაღუპვა, თეკლას სიკვდილი, ბოლშევიკების შემოჭრა საქართველოში, შოკოლადის ფაბრიკანტის პირველი მეუღლის სიკვდილი, რომელიც მშობიარობას გადაყვება, და ა.შ., [მერვე თაობა (ბრილკასთვის) 2008:21, 102, 129].

რომანი იწყება და მთავრდება ნიცასა და ბრილკას შეხვედრით. ჰოლანდიაში გასტროლებზე ჩასული 14 წლის ბრილკა, რომელიც ყველაზე კარგად კაცის პარტიებს ცეკვავს, ტოვებს თავის ანსამბლს და მიემგზავრება გერმანიაში მცხოვრებ დეიდასთან - ნიცასთან, რათა პასუხი მიიღოს იმ კითხვებზე, რომლებიც მას და მის წინაპრებსაც მოსვენებას არ აძლევდნენ. თავად ნიცა გერმანიაში წავიდა, რათა თავი დაეღწია თავისი ოჯახისა და ისტორიის ტვირთისაგან და მხოლოდ ბრილკასთან შეხვედრის შემდეგ ახერხებს იგი მისი ოჯახის ისტორიის რეფლექსიას. როგორც ნიცა, ასევე ბრილკა ცდილობენ გამოსავალი იპოვონ და თავი დააღწიონ წყველას, რომელიც ჯაშების ოჯახს თან სდევს 100 წლის მანძილზე. ბრილკა ჯაშების ოჯახის მერვე თაობას წარმოადგენს. ციფრი რვა უსასრულობის სიმბოლოა. ნიცა რომანს ბრილკასთვის წერს, რადგან სწორედ მისმა, „უსასრულო“ თაობამ უნდა გადალახოს მეოცე საუკუნის სისხლიანი კომმარები და ჩაკეტილი საზღვრები, დაიბრუნოს რწმენა, სიყვარული და ბედნიერება. ბრილკა მისი წინაპრებისაგან განსხვავებით უნდა გათავისუფლდეს ყველა იმ დემონისაგან, რომლებიც ჯაშების ცხოვრების ისტორიაში დაბანაკდნენ. მისი წინაპრებისგან განსხვავებით, ეს უცნაური ბავშვი, რომელიც საკვებსა და სასმელს ფერებით ახარისხებს და არაფერს ეკარება, რასაც ყავისფერი, „შოკოლადის ფერი“ აქვს, უფრო მიზანდასახული და ქმედითუნარიანია, ვიდრე მისი წინაპრები [მერვე თაობა (ბრილკასთვის) 2008:12,15-16]. როგორც ჩანს, რომანის ავტორი მკითხველს მიანიშნებს გერმანელი ნაციონალ-სოციალისტების უნიფორმის ფერზე, რომელიც სიმბოლოა ნებისმიერ ტოტალიზებულ სახელმწიფოში გამეფებული ტერორის, შიშის და გაუტანლობის. ტერორი და რეპრესიები პერსონიფიცირებულია იოსებ სტალინის და სახელმწიფო უშიშროების შეფის - ლავრენტი ბერიას სახეებით. ნ. ხარატიშვილი როგორც ჩანს, მათ იმის ღირსადაც არა თვლის, რომ რომანში მათი სახელი და გვარი დასახელოს და იხსენიებს მათ მხოლოდ როგორც „გენერალსიმუსს“ და „პატარა დიდ კაცს“.

რომანის 7 წიგნი გვიყვება საბჭოთა რეჟიმის მომხრეებსა და ფუნქციონერებზე, ასევე მათ კრიტიკოსებზე, რომელთაც რეპრესიული აპარატი დევნის, გულაგში ასახლებს და კლავს. კომუნისტურ რეჟიმს მსხვერპლად ეწირებიან რეჟიმის მომხრეები: ქრისტინეს მეუღლე რამაზ იოსებიძე, რომელიც უშიშროების სამსახურის თანამშრომელი და ლ. ბერიასთან დაახლოებული პირია. ის თავისი შეფის ადვირახსნილობის გამო ცოლს სამუდამოდ ამახინჯებს, თავად კი ლ. ბერიას ნაჩუქარი იარაღით იკლავს თავს. კომუნისტური რეჟიმის ერთგული მსახურია გიორგი ალანია - ლ. ბერიას უკანონო შვილი, რომელიც აცნობიერებს, რომ დამნაშავე მამისა და რეჟიმის დანაშაულებრივი ქმედებების თანამონაწილეა. კოსტია, კომუნისტური რეჟიმის თავდადებული და ერთგული მსახური, თავისი ბრწყინვალე სამხედრო კარიერის ბოლოს ხვდება, რომ ჯანმრთელობა და

სიცოცხლე ფუჰად შესწირა იმპერიას, რომელსაც იგი ათწლეულების მანძილზე ემსახურებოდა. კომუნისტური იდეოლოგიის საწინააღმდეგო შეხედულებების გამო ასახლებენ და კლავენ კიტის მეგობარ მარიამს, სოფიო, ანდრო, მიქა და მირო ერისთავებს. რეჟიმს ეწირება კიტისა და ანდროს ჯერ კიდევ უშობელი ბავშვი, რომელსაც დედის მუცლიდან ამოკვეთენ, რადგან ის ქვეყნის მტრის შვილია.

ნინო ხარატიშვილის რომანი „მერვე თაობა“ ასახავს ერთი მხრივ ფიქციურ, მეორე მხრივ კი გერმანელი მკითხველის კულტურისა და ემპირიული რეალობისათვის „უცხო“ სამყაროს, რაც მკითხველს ამ უცხოთან ურთიერთობის, მისი ადეკვატური რეცეფციისა და კრიტიკული რეფლექსიის საშუალებას აძლევს. რომანი მკითხველს სთავაზობს გაეცნოს მისი კულტურის მიღმა არსებულ, განსხვავებულ ქართულ და რუსულ კულტურებს და ეს განსხვავებული აღიქვას და გაიზიაროს. ხარატიშვილის მულტიკულტურული აზროვნება მოიცავს სამივე კულტურის ფასეულობებს, აზროვნების თავისებურებებს, ქცევის კონვენციებს, ეროვნულ და ენობრივ რეალიებსა და სიმბოლოებს.

ნინო ხარატიშვილის გერმანულენოვან რომანში „მერვე თაობა“ ისმის მისი მშობლიური ქართული ენისა და კულტურის ექო. რომანში ერთგვარი შინაგანი მონოლოგია გაბმული გერმანულ და ქართულ ენასა და კულტურას შორის. რომანის ფურცლებზე იმართება ერთგვარი ტრანსკულტურული დიალოგი, რომელიც ხელს უწყობს განსხვავებულ კულტურათა მენტალიტეტებსა და იდენტობებს შორის ზღვარის მოშლასა და მათ ინტეგრაციას.

რომანის ვრცელი დროული ჩარჩო შესაძლებელს ხდის საქართველოს, რუსეთისა და გერმანიის ძველი და ახალი „ნაციონალური ჰაბიტუსების,“ ეროვნული ცნობიერების მახასიათებელი სტერეოტიპებისა და სემანტიკური ოპოზიციების ანალიზისა და რეფლექსიის საშუალებას. რომანში წარმოჩენილია რუსული ეროვნული ცნობიერების ძირითადი მახასიათებლები: იმპერიული პატრიოტიზმი და ტერიტორიული სიდიდე, საბჭოთა რუსეთში დამკვიდრებული ამ ბინარული სისტემისთვის ტიპური დესპოტიზმი და მაქსიმალიზმი, ტოლერანტული თვალსაზრისების დეფიციტი და მასობრივი ექსტრემალური ქმედებები. რუსული ნაციონალური დისკურსის აღნიშნული სემანტიკური ოპოზიციები და რადიკალიზმი უპირისპირდება ქართულ, ეროვნულ იდენტობას. ამ დაპირისპირების კონტექსტში, რომანის ფაბულის განვითარების პარალელურად, ნინო ხარატიშვილი აგვიდწერს პერსონაჟთა იდენტობის განვითარების პროცესს.

მომდევნო ქვეთავებში განვიხილავთ ნინო ხარატიშვილის ტრანსკულტურული წერის მანერის, ენობრივი თავისებურებების და რომანის პერსონაჟთა იდენტობის განვითარების, ცვლილებისა და დაკარგვის საკითხებს.

II. ნინო ხარატიშვილის ტრანსკულტურული წერის მანერა

როგორც ტრანსკულტურული, მიგრანტი ავტორი, ასევე მისი პერსონაჟები მჭიდროდ არიან დაკავშირებული თავისი სამშობლოს წარსულთან და ტრადიციებთან, მაგრამ ისინი იძულებული არიან შეეთვისონ იმ კულტურას, რომელშიც ისინი ცხოვრობენ, ისე რომ არ დაკარგონ საკუთარი იდენტობა. ავტორიც და პერსონაჟებიც, სულ მცირე ორი იდენტობის მატარებლები ხდებიან და ორი ან სამი კულტურის ენაზე (ქართულად, რუსულად და გერმანულად) ლაპარაკობენ. ნინო ხარატიშვილი, ისევე როგორც მისი პერსონაჟები, ჯაშუბის ბოლო თაობის მიგრანტები, ნიცა და ბრილკა თავისი სამშობლოს წარმოდგენით გეოგრაფიულ სივრცეში, ე.წ. „შუალედურ სივრცეში“ იმყოფებიან. ისინი ჰიბრიდული იდენტობის მატარებლები არიან, რომელიც მათ უცხო კულტურათა ცხოვრების წესის რეფლექსიისა და მათთან ინტეგრაციის საფუძველზე შეიძინეს.

კრიტიკოსები კამათობენ იმის შესახებ, გერმანული ლიტერატურის ნაწილია ნინო ხარატიშვილის შემოქმედება თუ ქართულის. ფრანკფურტში გამართულ სადამოხე მწერალმა ამ შეკითხვას შემდეგნაირი პასუხი გასცა: მისთვის ლიტერატურა არ დაიყვანება ნაციონალიზმზე, ლიტერატურა მისთვის გლობალური ფენომენია, რომელიც არ უნდა მოთავსდეს ჩარჩოში. მისი ამოსავალი პრინციპია, წერდეს ისე, რომ მისი სათქმელი გასაგები იყოს ნებისმიერი ეთნიკური წარმომავლობის მქონე მკითხველისთვის: „ჩემი ბუნებიდან და ცხოვრებიდან გამომდინარე, ჩემთვის სამშობლო სხვადასხვანაირი და რამდენიმე არსებობს. ჩემი სამშობლოა, რა თქმა უნდა, საქართველო, რაც უნდა კოსმოპოლიტი ვიყო, მაინც ვერ ამოვშლი ჩემში გენეტიკურ ქართველობას, მენტალიტეტს, ზოგიერთ თვისებას. თუმცა სამშობლო ჩემთვის ამავდროულად თეატრია და ლიტერატურაც, რადგანაც იქ შევაფარე თავი, „იქ დავდი სახლი“ [რეზონანსი, 2010: 9] - ასეთია მწერლის აზრი.

2012 წელს, ინტერვიუში თამთა მელაშვილთან, კითხვაზე, არის თუ არა ნინო „ორ სამყაროს შორის გამოკიდებული ადამიანი“, ნინო პასუხობს: „სადღაც შუაში ვარ და ეს დილემა ალბად მთელი ცხოვრება მექნება... მე არ მინდა აღქმული ვიყო როგორც საქართველოზე მარადიულად მაგალობელი ბულბული“. ... „კი, მე ვამბობ, რომ მე საქართველოდან ვარ და ის ჩემი ნაწილია, და ასეც იქნება, მაგრამ მე ასევე შევდგები სხვა ნაწილებისაგან, სხვა ინტერესებიც მაქვს. ჩემი 16 პიესიდან მხოლოდ ორი ეხება საქართველოს. მეორე რომანი გერმანელის თვალთ დანახული საქართველოა, პირველში მას საერთოდ არ შევხებივარ, მხოლოდ ახლა შემიძლია თავს უფლება მივცე, რომ საქართველოს თემას ჩავუღრმავდე“ [ცხელი შოკოლადი 2012: 44, 48, 49].

და მართლაც, ნ. ხარატიშვილმა თავისი დაპირება შეასრულა. მან საქართველოს ისტორიის მხატვრულ ასახვას ისეთი ფორმატისა და მასშტაბის ეპოქალური რომანი მიუძღვნა, რომელიც თ. მანისა და ლ. ტოლსოის რომანებს გვაგონებს. „მერვე თაობიდან“ სულ მცირე ამონარიდიც კი საკმარისია იმის წარმოსადგენად, თუ როგორ უყვარს ნ. ხარატიშვილს საქართველო. მისი რომანის ავტობიოგრაფიული ხასიათი მთავარ პერსონაჟს ნიცას უკავშირდება. სახელი ნიცა შეიცავს ქართულ სიტყვას „ცა“. ნიცამ დატოვა სამშობლოს ცა რათა ხელახლა იპოვოს იგი“, „მაგრამ გერმანიაში მის ოთახში ნათურების სიმრავლე მას სამშობლოს ცას ვერ შეუცვლის“ ავტორი ნიცას პირით ამბობს: „Ich heisse Niza. In meinem Namen ist ein Wort enthalten, ein Wort, das in unserer Muttersprache Himmel bedeutet. Za. Vielleicht war mein bisheriges Leben die Suche nach diesem Himmel... [მერვე თაობა (ბრილკასთვის) 2014:13].

მართალია, ხარატიშვილის ნაწერების ამოსავალი არაა ქართული თემატიკაა, მაგრამ, სამშობლოს მის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ჯერ კიდევ 2007 წელს, როდესაც ნინო არ იყო ცნობილი დრამატურგი, მან სადიპლომო ნამუშევრად დაწერა და დადგა „მედეას“ საკუთარი ვერსია. მისი ერთ-ერთი პიესის სახელწოდებაა „ჯორჯია“.

ნინო ხარატიშვილის 2011 წელს გამოცემული მეორე რომანში - „ჩემ ნაზ ტყუპისცალში“, როგორც ამას თავად აღნიშნავს, ასევე გერმანელის თვალთ დანახული საქართველოა აღწერილი.

ცნობილია, რომ გამომცემლობა „ინტელექტმა“ მოიპოვა საავტორო უფლება აღნიშნული რომანის ქართულად თარგმნისთვის. ტექსტის თარგმნას ხარატიშვილის ენის სირთულისა და სტილის გათვალისწინებით, ალბად 2 წელი მაინც დასჭირდება. ეს კი თანამედროვე ქართულ-გერმანული ლიტერატურული ურთიერთობების კიდევ ერთი ახალი და საინტერესო ფურცელი იქნება.

II. ენობრივი სიმბიოზი

რომანის კითხვისას აღფრთოვანებას იწვევს ხარატიშვილის თხრობის მანერა, სტილი და ენა და მათი მეშვეობით წარმატებით წარმართული ტრანსკულტურული დიალოგი გერმანელ მკითხველთან. რომანის მკითხველს დროდადრო თვალში ეცემა გერმანულისათვის არატიპური კონსტრუქციის წინადადებები, გრამატიკულად არანორმატიული ფრაზები, ქართული რეალიები, მეტაფორები, ქართული აზროვნების ფორმები, რომლებიც არ შეესაბამებიან გერმანული ენის ნორმას ან რომელთაც გერმანულ ენაში ეკვივალენტი არ მოეძებნებათ. თემატური და ვერბალური სტილისტიკური ეფექტები ხშირად კულტურულად სპეციფიკური რეცეფციის კონტექსტშია ჩასმული, რაც არ ჯდება გერმანული ენის სტანდარტულ ყალიბში. თუმცა, სწორედ თხრობის ასეთი მანერა ქმნის გაუცხოების ეფექტს, რაც იზიდავს გერმანელ მკითხველს, იწვევს მის ინტერესს. ტექსტის ჰიბრიდული ჟანრი და ავტობიოგრაფიული წერის მანერა მიზნად ისახავს ტრანსკულტურული ეფექტების შექმნას და მკითხველს დისტანციური ხედვის საშუალებას აძლევს. ნ. ხარატიშვილი ქმნის ახალ, ხატოვან ენობრივ ერთეულებსა და სურათ-ხატებს, რაც ადასტურებს მის უნარს, გავიდეს ენობრივი და კულტურული ჩაკეტილობის საზღვრებს მიღმა და ახალი ენობრივი საშუალებებით გაამდიდროს გერმანული ენა.

ერთ-ერთ ინტერვიუში ნინო ხარატიშვილი თავის წერის მანერაზე საუბრობს: „Meine Schreibsprache ist heute Deutsch. Aber wahrscheinlich *Georgisch gefärbt*. Nicht, dass es grammatikalisch falsch ist, aber *ich verwende oft ungewöhnliche Sprachbilder*. Etwa, dass Schokolade „bestürzend ist. *Das steht zwar nicht im Duden, aber ich finde, es bereichert die Sprache, wenn Nicht-Muttersprachler auf Deutsch schreiben.... Das würde ein Muttersprachler nicht sagen, aber es ist sehr treffend*. Sprache ist ein lebendiger Organismus, der sich weiterentwickeln muss, sonst stirbt er aus.“ [<http://www.rp-online.de/nrw/staedte/wesel/roman-des-jahres-nino-haratischwili-liest-bei-korn-aid-1.4742805>]

ნ. ხარატიშვილის მულტიკულტურული აზროვნება მოიცავს რამდენიმე კულტურის ფასეულობას, ეროვნულ და ენობრივ რეალიებსა და სიმბოლოებს, მაგ. ასეთებია: „*die Kosaken*“ [მერვე თაობა (ბრილკასთვის) 2014: 98], „Die Kirchen haben aus Angst vor *Pogromen* ihre Türen geschlossen“ [იქვე:104], „... er konnte ...bereits *Deda* sagen“ [იქვე:113], „Du hast das Wort *Genosse Mauser!*“, [იქვე:113], „*goldene Kochis*“, [იქვე:1092] და ა.შ.

რომანში „მერვე თაობა“ გვხვდება გერმანული სიტყვები და გამოთქმები ქართული კონოტაციებით. გვხვდება ასევე, ქართულიდან კალკირებული ფრაზეოლოგიზმები, გერმანული ენის სინტაქსურ ყალიბში ჩასმული ქართული კონსტრუქციები და სხვ. ყოველივე ამას ავტორი ოსტატურად იყენებს თავისი ჩანაფიქრის უკეთ გადმოსაცემად, ემოციური ეფექტების შესაქმნელად, მაგ.: „...ihre Schönheit schien von Tag zu Tag überirdischer zu werden“ [მერვე თაობა (ბრილკასთვის) 2014 : 117], „Er schien sie mit den Blicken regelrecht zu verschlingen“ [იქვე:130], „...der Vater würde sich im Grab umdrehen“ [იქვე:397], „... sie brauchte sie wie die Luft zum Atmen“ [იქვე:565], „sie habe ihre Erwartungen mit Füßen getreten“ [იქვე:742], „Und alle schlugen ihre Handinnenflächen gegen ihre Stirn und stöhnten auf“ [იქვე:746], „ Sie spürte kalten Schweiß auf ihre Stirn treten“ [იქვე:798], „Komm schon, ich fresse dich schon nicht auf“ [იქვე:1015], „Denn die fraß er geradezu mit seinen Augen auf“ [იქვე:1020], „der neue Wind, der aus Moskau wehte...“ [იქვე:1020], „Er sprach die Sätze sehr schnell, als hätte er eine heiße Kartoffel im Mund“ [იქვე:1034], „...dass er mit dem Sozialismus liebäugelte“ [იქვე:1093], „Er sei ein undankbares Schwein“ [იქვე:1110], „... dass es uns Georgiern nicht gelingen würde, uns selbst aus diesem Sumpf zu

ziehen“ [იქვე:1116], „ Miro wird dich bei der nächstbesten Gelegenheit betrügen, auf dem Boden liegenlassen, über dich steigen und weitergehen“[იქვე: 1146] და სხვ.

III. რომანის პერსონაჟთა იდენტობა, მისი განვითარების, ცვლილებისა და დაკარგვის საკითხები.

ნ. ხარატიშვილის რომანი რამდენიმე კულტურის პერსპექტივის გათვალისწინებითაა დაწერილი. მის მხატვრულ ქსოვილში თემატიზებულია, თუ როგორ მიმართებაშია ეროვნული, ჰომოგენური უმრავლესობა ყველა სხვა დანარჩენი უმცირესობის მიმართ, რას სახის ბარიერებს ხვდება ინდივიდი მისთვის „უცხო“ გარემოში ყოფნისას, როგორ ხდება მისი იდენტობის ფორმირება მულტიკულტურულ გარემოში და ინტეგრაცია ამ სამყაროსთან. გარდა კულტურათა განსხვავებულობისა, რომანში წარმოჩენილია ის უნივერსალური კატეგორიები რომლებიც ერთმანეთთან აერთიანებს სხვადასხვა კულტურებს: სიხარული და მწუხარება, სიყვარული და სიძულვილი, ტკივილი და თანადგომა, ეკონომიკური სისტემა, ტაბუ და ა.შ.

რომანში „მერვე თაობა“ ავტორი ქმნის პერსონაჟთა რეალურ და ამავე დროს რთულ სახეებს, რომლებიც, ერთი მხრივ, ცდილობენ შეინარჩუნონ საკუთარი იდენტობა, ენა და რელიგია, მეორე მხრივ კი, აღიარებენ სხვა კულტურათა ღირებულებებსაც და თავიანთი ინდივიდუალური განვითარების პროცესში იდენტობის სხვა მარკერებითაც ხასიათდებიან. რომანში აღწერილი სისხლიანი თუ მშვიდობიანი ისტორიული მოვლენები რუსეთში, საქართველოში და ბოლოს ევროპაშიც, ვითარდება და მოიცავს 1900-2007 წლებს. დროისა და სივრცის ამ კონტექსტში წარმოჩენილია ამ მოვლენებთან დაკავშირებული იდენტობის განვითარების, ცვლილებისა და დაკარგვის პრობლემები. როგორც აღვნიშნეთ, რომანის ყოველი წიგნი ეთმობა მისი ერთ - ერთი პროტაგონისტის მსოფლმხედველობის, საქმიანობის, ფასეულობებისა და ეთიკური ნორმების აღწერას. ყოველი მათგანის იდენტობა გაცნობიერებულად თუ ქვეცნობიერად, განიცდის იმ ეპოქის საზოგადოებრივი აზრის წნეხს, სოციალურ - პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ზეწოლას, რომელშიც ის ცხოვრობს. პერსონაჟთა პირადი დამოკიდებულება გარე სამყაროს სუბიექტებისა და მოვლენების მიმართ სხვადასხვაგვარია, რის გამოც ისინი იდენტობის განსხვავებულ ტიპებს მიეკუთვნებიან.

იდენტობის პრობლემა მხატვრულ ნაწარმოებებში თითქმის შეუსწავლელი საკითხია. სწორედ ამიტომ, აქტუალურად გვესახება ნ. ხარატიშვილის ზემოთ განხილული რომანის პროტაგონისტთა იდენტობის კვლევა. ჩვენ შევეცდებით, სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის მოშველიებით გავაანალიზოთ ამ პრობლემის არსი. იდენტობის დეტალური განხილვისაგან კი თავს ვიკავებთ, რადგან ეს სცილდება მოცემული ნაშრომის თემატიკის ფარგლებს. იდენტობის საკითხს მხოლოდ რომანის გმირებთან მიმართებაში შევხებით.

ზოგადად იდენტობაში მოიაზრება პიროვნების არსებითი, განუყოფელი და ძირითადი მეობა; ინდივიდის შინაგანი, საკუთარი თავის შესახებ შემუშავებული სუბიექტური კონცეფცია; საკუთარი თავის იგივეობის განცდა; [ეროვნებათშორისი ურთიერთობების მართვა, 2007].

ფსიქოლოგიასა და სოციოლოგიაში ამ საკითხთან მიმართებით ბევრი რამ მსგავსად აიხსნება. ამერიკელი ფსიქოლოგის ერიკ ერისონის (1902-1994) აზრით, რომელმაც დაამკვიდრა ტერმინი „იდენტობა», იდენტობა არის ადამიანის ფსიქოლოგიური წარმოდგენა საკუთარ „მე“-ზე, რომელიც

ხასიათდება ინდივიდუალური თვითგაიგივებისა და მთლიანობის სუბიექტური გრძნობით. ესაა ადამიანის მიერ საკუთარ თავთან იგივეობის დადგენა (ნაწილობრივ გაცნობიერებული, ნაწილობრივ გაუცნობიერებელი) რაღაც ტიპოლოგიური კატეგორიით (სოციალური სტატუსით, სქესით, ასაკით, როლით, ნორმით, ჯგუფით, კულტურით და ა.შ.). იდენტობა ჩნდება ადამიანის ინდივიდუალური განვითარების პროცესში და წარმოადგენს სოციალიზაციისა და პიროვნული ინტეგრაციის ფსიქოლოგიური პროცესების შედეგს [ერიქსონი 1973, 1988].

მაგრამ არის იდენტობის განსხვავებული განმარტებებიც, ძირითადად, იდენტობის ფორმირების პროცესის საკითხში. ბოლო პერიოდში იდენტობამ მნიშვნელოვანი სოციოლოგიური კონცეფციის ხასიათი მიიღო და აღნიშნავს გარკვეულ სოციალურ კონსტრუქციებთან ასოცირებულ თავისთავადობის შეგრძნებას. ინდივიდის თვითცნობიერებაში სხვადასხვა სოციალურ როლთა ინტეგრაცია და იერარქიულობა განაპირობებს სოციალური იდენტობების სიმრავლეს. პოსტმოდერნისტები იდენტობას პიროვნების მოძრავ სიტუაციურ ასპექტად განიხილავენ, მაგალითად, რომელიმე სოციალური ერთობის (სქეოსობრივი, ასაკობრივი, ეკონომიკური, ეთნიკური, პროფესიული და ა.შ.) კუთვნილებით. სოციალურ იდენტობას ეთნოკულტურული ასპექტიც აქვს, რაც დაკავშირებულია კულტურაში პიროვნების მოდელის შესახებ წარმოდგენებთან: დასავლურ კულტურებში ხაზგასმულია პიროვნების ერთიანობა – მთლიანობა კონკრეტული სოციალური იდენტობისგან მეტ–ნაკლებად დამოუკიდებლად.

იდენტობა მხოლოდ თითოეული ინდივიდის სოციალური მდგომარეობის საფუძველს არ წარმოადგენს. მისი კულტურული და ანდა ეთნიკური კუთვნილება ყოველდღიურობაში ვლინდება - ადამიანი ითვისებს ენას კულტურას, ტრადიციას, სოციალურ და ეთნიკურ ნორმებს, საკუთარ ეთნიკურ გარემოცვას. იდენტობა დაკავშირებულია კონკრეტულ პოლიტიკურ და სოციალურ მოვლენებთან და მათ მიერ განისაზღვრება [ერიქსონი 1973].

იდენტობის სფეროში არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაში წარმოდგენილია იდენტობის სხვა კონცეფციებიც, რომელთა შორის ჩვენი კვლევისთვის უფრო მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ს. ჰალის [ჰალი 1999], ე. ერიქსონის [1973,1988], ბ. ვილიამსის [1978] და ე. დ. სმითის [2008] იდენტობის მოდელები. მათ ნაშრომებზე დაყრდნობით, მოცემულ ნაშრომში განვასხვავებთ განმანათლებლობის, სოციალური და პოსტმოდერნული სუბიექტების იდენტობის მახასიათებლებს.

ზემოჩამოთვლილი ავტორები იკვლევენ, თუ რა წვლილი შეიტანა *ერთიანი განმანათლებლობის ხანის სუბიექტის* ჩამოყალიბებაში დასავლეთის კულტურასა და აზროვნებაში მომხდარმა ცვლილებებმა, მეცნიერულმა აღმოჩენებმა, დასავლეთის ფილოსოფიამ, რის შედეგადაც ინდივიდუალური სუბიექტის სტატუსმა თავისი გონიერებითა და აზროვნების უნარით ცენტრალური ადგილი დაიმკვიდრა. კერძოდ, კლასიკურ ეკონომიკაში და პოლიტიკურ აზროვნებაში წარმოჩენილი იყო დამოუკიდებელი ინდივიდუუმი, რომელიც თავად წყვეტდა კომერციული ურთიერთობების საკითხებს (ვილიამსი 1978:135), პროტესტანტიზმა წინა პლანზე წამოწია ინდივიდუუმის უშუალო კავშირი ღმერთთან, ფსიქოლოგიის შესწავლის ობიექტი ასევე ცალკეული ინდივიდუუმის სულიერი პროცესებია. დანარჩენ დისციპლინებშიც განმანათლებლობის ანუ „კარტეზიანული სუბიექტი“ დომინანტურ როლს თამაშობს.

მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში სოციოლოგიაში თავი იჩინა კარტეზიანული სუბიექტის, „რაციონალური ინდივიდუალიზმის“ კრიტიკამ. კარტეზიანული სუბიექტის ადგილს იკავებს *სოციოლოგიური სუბიექტი*, რომელიც ჩართულია ჯგუფურ კოლექტიურ პროცესებში. იგი კავშირს

ამყარებს სხვა სუბიექტებთან და დებს მათთან სხვადასხვა სახის ხელშეკრულებას. სოციოლოგიური სუბიექტის შინაგანი ბირთვი აღარ არის ავტონომიური და თვითკმარი, არამედ ყალიბდება „სიგნიფიკატურ სხვასთან“ ურთიერთობაში. მას სხვა სოციოლოგიური სუბიექტი აწვდის ფასეულობებს, კულტურას, მნიშვნელობებსა და სიმბოლოებს.

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში გაჩნდა საზოგადოებრივი თეორიები, რომლებიც ქადაგებდნენ კარტეზიანული *სუბიექტის დეცენტრირებას* (ჰალი 1999:407). სუბიექტის დეცენტრირება უკავშირდება 19-ე საუკუნის 60 - იან წლებიდან კ. მარქსის შრომების სხვაგვარ ინტერპრეტაციას, რომლის მიხედვითაც ინდივიდუუმს არ შეუძლია გახდეს ისტორიის ავტორი. ზ. ფროიდის მიერ ქვეცნობიერის აღმოჩენამ ასევე თავისი წვლილი შეიტანა სუბიექტის დეცენტრირების პროცესში. ფროიდისათვის სუბიექტურობა ქვეცნობიერის ფსიქიკური პროცესების პროდუქტს წარმოადგენდა, რაც უპირისპირდებოდა ერთიანი იდენტობის მქონე სუბიექტის კონცეპტს. ლინგვისტიკაში სტრუქტურალისტური სკოლის წარმომადგენლის, ფერდინანდ დე სოსიურის შრომებში ენა აღწერილია როგორც არა ინდივიდუალური, არამედ როგორც საზოგადოებრივი, სოციალური სისტემა. ენა თავისი არსებობით ჩვენ წინ გვისწრებს, ჩვენს ენობრივ და კულტურულ სისტემებში აქტუალიზებულია მნიშვნელობები, ამდენად რომელიმე ენაზე ლაპარაკი არ ნიშნავს ჩვენი აზრების გამოხატვას, არამედ მხოლოდ მნიშვნელობათა აქტუალიზაციას. მ. ფუკოს შრომებში აღწერილია ძალაუფლების ახალი ტიპი, „დისციპლინარული ძალაუფლება.“ რომლის ფუნქციაა თანამედროვე მოსახლეობის პოლიციური ადმინისტრირება და ახალი, მორჩილი ადამიანის შექმნა. (ფუკო 1976:176). სუბიექტის დეცენტრირება შედეგია ასევე სამოციან წლებში წარმოქმნილი ფემინიზმის გავლენისა. ფემინიზმმა შეცვალა ქალისა და კაცის შესახებ არსებული წარმოდგენები. თუ ადრე ნაციონალური იდენტობა ასოცირებული იყო მამაკაცის ძალაუფლებასთან, ქალები კი მეორად როლს თამაშობდნენ, ფემინიზმმა ეს ფასეულობები სქესობრივი დიფერენციაციის საკითხით შეცვალა და ამით ხელი შეუწყო როგორც კარტეზიანული, ასევე სოციოლოგიური სუბიექტის კონცეპტუალურ დეცენტრირებას.

გვიანდელი მოდერნიზმის სუბიექტი იზოლირებული, გაუცხოებული, ფრაგმენტული და განდევნილი ინდივიდია დიდი ქალაქის მასის ფონზე. გლობალიზაციის ეპოქაში სუბიექტები იქცნენ გაუცხოებულ და ფრაგმენტულ იდენტობებად. ისინი ხშირად არა ერთ, არამედ რამდენიმე ურთიერთსაწინააღმდეგო იდენტობებისგან შედგებიან. ასეთ პოსტმოდერნულ სუბიექტს არ გააჩნია მყარი საიმედო იდენტობა სუბიექტი დეცენტრირებულია გარეშე ძალების მოქმედებით და სხვადასხვა საზოგადოებრივი ანტაგონიზმებით, რომლებიც განაპირობებენ ამ სუბიექტში იდენტობათა სიმრავლეს [ფუკო 1976:176; ლაკლო 1990:40].

მოცემულ ნაშრომში იდენტობის საკითხი მხატვრული ლიტერატურის კრილშია წარმოდგენილი. რომანი „მერვე თაობა“ საყურადღებოა სწორედ იმ კუთხით, რომ მასში წინა პლანზეა წამოწეული პროტაგონისტა იდენტობა, მისი ცვლილება და განვითარება ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთებში. რომანის პერსონაჟები ხასიათდებიან იდენტობის სხვადასხვა მარკერით პრესაბჰოთა პერიოდში, საბჭოთა კავშირისა და პოსტსაბჭოთა წლებში და თანამედროვეობაში. შესაბამისად, „მერვე თაობაში“ იკვეთება იდენტობასთან დაკავშირებული თემატური ჩარჩო, რომელიც მოიცავს ქართული იდენტობის, ქართველი კაცისა (შოკოლადის ფაბრიკანტი, სიმონ ჯაში, კოსტია, გიორგი ალანია, ანდრო, მიქა, მირო ერისთავები) და ქართველი ქალის (ქეთევანი, სტასია, ქრისტინე, კიტი, ელენე, დარია, ნიცა) იდენტობის დახასიათებას.

რომანში „მერვე თაობა (ბრილკასთვის)“ უმთავრესად იკვეთება იდენტობის სამი ძირითადი ტიპი, რომელსაც მიეკუთვნებიან: განმანათლებლობის ხანის სუბიექტები (შოკოლადის ფაბრიკანტი, მისი

პირველი მეუღლე და ქალიშვილი სტასია), სოციოლოგიური სუბიექტები (ქრისტინე, სიმონ და კოსტია ჯაშები) და პოსტმოდერნული სუბიექტები (ანდრო, მიქა და მირო ერისთავები, ელენე და მისი ქალიშვილი დარია).

იდენტობის პირველ ტიპს სრულად ესადაგებთან საქართველოში *განმანათლებლობის ხანის სუბიექტები*: შოკოლადის ფაბრიკანტი, მისი ცოლი – ქეთევანი და ქალიშვილი სტასია. ისინი ქართული, ნაციონალური იდენტობის მატარებლები არიან და მთლიან, ავტონომიურ ინდივიდუუმებს წარმოადგენენ. ყოველი მათგანი გონებითა და მოქმედების უნარით დაჯილდოვებული ინდივიდუუმია: „Neben seinem Beruf nahm mein Ururgroßvater als Ehrenbürger am gesellschaftlich-kulturellen Leben der Stadt teil, verkehrte in hohen Kreisen der lokalen Politik, war der Begründer des einzigen Herrenclubs der Stadt (ganz nach europäischer Manier), der Schirmherr etlicher Literatur-, Theater- und Philosophiezirkel, saß im Vorstand der »Gesellschaft für Tradition und Ehre« und war nebenbei noch einer der reichsten Bürger der kleinen Stadt“ [ხარატიშვილი 2014:50]. ამ პერსონაჟთა შინაგანი ბირთვი მათთან ერთად იზრდება და ვითარდება, მაგრამ მათი ცხოვრების მანძილზე არ იცლება. ისინი საკუთარ თავთან იდენტური არიან. მათი სტატუსი, მდგომარეობა და პოზიცია გარე სამყაროში, მათი სტაბილური კავშირი ტრადიციებთან, რომელიც მათ ღვთისგან მოცემულად მიაჩნიათ, ამ სუბიექტებს ხდის სუვერენულს, კოჰერენტულს, დოგმებისაგან თავისუფალს და ტოლერანტულს: „Traditionsbewusst zu sein bedeutete für meinen Ururgroßvater, die Werte der Elite zu leben, bescheiden zu sein und mit ausgezeichneten Manieren ausgestattet, dabei nicht allzu genussfreundlich und doch nicht puritanisch. Und genau wissend, welche gesellschaftliche Schicht für welche Zwecke geschaffen war, welcher Mensch in der Gesellschaft welchen Platz einzunehmen hatte. Denn Ururgroßvater ... hatte eine Konditorlehre in einem noblen Kurhotel auf der Krim absolviert, war dort recht schnell vom Lehrling zum Leiter der Chocolaterie aufgestiegen und hatte durch seine Kunst viele reiche Adelige als Stammkunden gewinnen können“. [ხარატიშვილი 2014:48].

მეოცე საუკუნის დასაწყისიდან ქართული იდენტობა რღვევას იწყებს და კრიზისის სტადიაში შედის - ფორმირდება ახალი იმპერია მსოფლიო რუკაზე: საბჭოთა კავშირი. იდენტიფიკაციის პრობლემის წინაშე დგებიან რომანის პერსონაჟები: ქრისტინე, სიმონ და კოსტია ჯაშები. ისინი იზღუდებიან და ითგრუნებიან იმ სივრცით, იმ მორალურ-ზნეობრივი ატმოსფეროთი, რაც საბჭოთა რეჟიმმა წარმოშვა. ყოველი მათგანი იმყოფება სოციალური ფაქტორების ზეგავლენის ქვეშ. მათი როგორც *სოციოლოგიური სუბიექტის იდენტობა* ყალიბდება „მე“-სა და საზოგადოების, სოციალური ინტერაქციის პროცესში. მართალია მათ ჯერ კიდევ აქვთ შინაგანი ბირთვი, მათი „ნამდვილი მე“, მაგრამ ეს შინაგანი ბირთვი მუდმივ ცვლილებას განიცდის გარე სამყაროსთან და სხვა იდენტობებთან ურთიერთობის დროს. ამავე დროს, თითოეულ პერსონაჟს აქვს თავისი პიროვნული გრძნობები თუ ფიქრები, თავისი საკუთარი მიკროსამყარო, რაც არავითარ შემთხვევაში არ არის შეპირობებული სოციალური გარემოს მიერ. ეს სუბიექტები ცდილობენ გადალახონ უფსკრული პიროვნულ და საზოგადოებრივ სამყაროებს შორის. მაგრამ, რეჟიმი მათ აწვდის თავის ფასეულობებსა და სიმბოლოებს. ამიტომ, ამ პერსონაჟთა შინაგანი ბირთვი აღარაა ავტონომიური და ფორმირებულია კომუნისტურ რეჟიმთან დამოკიდებულებაში: „Bereits früh geprägt durch demokratisch-liberales Gedankengut, hatte Simon in den Militärkreisen der Kadettenschule Kontakte zu Liberalen geknüpft und an einigen Versammlungen teilgenommen. Aber zeitgleich nahm er wahr, dass die Liberalen zu schwach und viel zu wenig zielsicher schienen, um einer ernsthaften Bedrohung, wie der Sozialismus es eine war, standzuhalten ... Simon sympathisierte kaum mit den Sozialisten, zu brachial, zu

wenig raffiniert, zu laut waren sie für seine gutbürgerlichen Ohren, aber gleichzeitig wollte er am Ende nicht auf der falschen Seite stehen. Er musste handeln“ [ხარატიშვილი 2014:46].

პიროვნების თვითდამკვიდრების საქმეში უდიდეს როლს თამაშობს კარიერა და სიყვარული. კოსტია კომუნისტური რეჟიმის გულმხურვალე მომხრეა და ბრწყინვალე სამხედრო კარიერის ზენიტშია, მაგრამ ის ვერ პოულობს ბედნიერებას პირად ცხოვრებაში, რადგან ის ერთადერთი ქალი, რომელიც უყვარდა, ლენინგრადის ბლოკადაში დაიღუპა: „Ida war tot. Das, und nicht mehr und nicht weniger teilte ihm dieser kurz gehaltene Brief mit. Er hatte sie verloren, für die er den Hunger, die Kälte, die Schüsse, die Bomben, das alles noch einmal hingenommen hätte ...“ [ხარატიშვილი 2014:440]. ეს სიკვდილი კოსტიას იდენტობის კრიზისს განაპირობებს და მას თვითმკვლელობის ცდაც კი აქვს: „Nicht einmal das schwere Meer konnte ihn wiederbeleben. Nicht einmal der Kälteschock. Eintauchen und nie mehr auftauchen, welch ein Frieden, dachte er sich wohl. Wie war es möglich, jemanden so sehr zu wollen, jemanden so sehr zu brauchen, jemanden so sehr zu lieben, ohne dass der Tod das berücksichtigte?“ [ხარატიშვილი 2014:441].

სიყვარული იდასადმი ერთ-ერთი იშვიათი და ძლიერი გრძნობაა. კოსტია სხვა ქალების სიყვარულში (მარიამი, ნანა) ვერ პოულობს საყრდენს.

კომუნისტური რეჟიმის მომხრე და მაღალი რანგის ფუნქციონერია ლ. ბერიას უკანონო შვილიც, გიორგი ალანია, რომელიც ასევე იდენტობის კრიზისს განიცდის, რადგან აცნობიერებს, რომ მას ხალხის სისხლში აქვს ხელები გასვრილი: „Ich habe Leute zurückgeschickt, Hunderte habe ich in Schiffe und in Flieger gezwungen, ich habe sie belogen und falsche Versprechungen gemacht. Manche von denen würden sterben, das wusste ich, und trotzdem habe ich weitergemacht. Dienst ist Dienst. Manche kamen direkt in die Lager. Die meisten kamen in die Lager. Ich habe es getan. Ich habe Menschen in den Tod geschickt, verstehst du?“ [ხარატიშვილი 2014: 1007].

იდენტობის მესამე ტიპი სუბიექტის დეცენტრირებას ან იდენტობის დაკარგვას გულისხმობს. რწმენადაკარგული და ღმერთდაკარგული შთამომავლობა კარგავს იდენტობასაც და მათი ცხოვრების უმთავრესი საზრუნავი სწორედ ამის ძიება ხდება. ანდროს იდენტობის დაკარგვას წინ უსწრებს მისი გაცნობიერებული პროტესტი რეჟიმის მიმართ: „Weißt du, warum wir in ihren Augen eine Bedrohung darstellen? setzte Andro an. – Warum sie uns verbannen, uns den Kontakt mit anderen Menschen verbieten, uns loswerden wollen? Weil wir es begriffen haben, weil wir alles mit unseren Augen gesehen haben! Wir, die überlebt haben, sind zurück, und sie wissen, dass wir nicht mehr in der Lüge leben können, und man weiß nicht, was man mit uns anstellen soll. Wir überfordern sie. Sie wollen, dass wir alles vergessen, dass wir uns nicht mehr an all die Dinge erinnern, die wir gesehen haben, aber sie wissen, dass es nicht möglich sein wird“ [ხარატიშვილი 2014:436]. ანდროს ძალა არ შესწევს შეცვალოს ისტორიულ მოვლენათა სვლა, რასაც მისი განდგომა, დეპერსონალიზაცია, ხოლო გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ - მარგინალიზაცია და ფსიქიკური პათოლოგიები მოსდევს.

პოსტმოდერნულ სუბიექტში ურთიერთსაწინააღმდეგო იდენტობები იჩენენ თავს. ზოგიერთი პიროვნება ახერხებს იდენტობის რეკონსტრუირებას. მისი ინტელექტუალური მოღვაწეობის მთავარი მიზანი ხდება ცნობიერების ტრანსფორმაცია და საკუთარი ქმედებებით თავის გარდაქმნა. თვითდამკვიდრებასა და იდენტობის აღდგენას ყველა თავისებურად ახდენს: ნიცა – სახლიდან წასვლით, ბრილკა – დამოუკიდებლობის ძიებით და პროფესიული ინტერესებით, ელენე – მამის ძლიერი და დამთრგუნველი გარემოცვიდან გაქცევით და ა. შ. ელენესთვის მიუღებელია მისი ეპოქის სულიერი შინაარსი, იგი არ იღებს საზოგადოების მიერ შემოთავაზებულ ნორმებს,

ეწინააღმდეგება საზოგადოებაში დამკვიდრებულ სტერეოტიპულ აზროვნებას, თუნდაც ეს პროტესტი უახლოესი ადამიანების დაკარგვის ფასად ექცეს. ეს ავადმყოფური კრიზისია მისი პიროვნული იდენტობისა. პერსონალური სივრცის ძიებამ იგი სხვადასხვა ადამიანებთან დააკავშირა, თუმცა ეს უშედეგო აღმოჩნდა. საბოლოოდ ელენე მაინც აღწევს იდენტობის კრიზისის დაძლევა და ამაში მას ეხმარება ოჯახის შექმნა და შვილებზე ზრუნვა.

რომანის ზოგიერთი გმირი *ჰიბრიდული იდენტობის* მატარებელია, მაგ. კიტი, ნიცა და ბრილკა. საკუთარ ქვეყანაში უადგილო კიტი და ნიცა „სხვა სამშობლოში“ მიემგზავრებიან და იქ ცდილობენ ადგილის პოვნას. კიტი და ნიცა იძულებული არიან შეეთვისონ იმ კულტურას, რომელშიც ცხოვრობენ, მაგრამ ისინი არ არიან სრულად ასიმილირებული ამ კულტურებთან და საკუთარ იდენტობას ბოლომდე არ კარგავენ. მართალია ისინი საკუთარ კულტურას, ტრადიციას, ენასა და ისტორიას თავის თავში ატარებენ, მაგრამ ფაქტიურად ორი კულტურის ენაზე ლაპარაკობენ და ორი კულტურის მატარებლები არიან. ისინი ორივე სამშობლოს ეკუთვნიან და ორი ენისა და კულტურის „შუალედურ“ სივრცეში იმყოფებიან.

კიტი აცნობიერებს, რომ მის «მე-ს» და რეალურ სამყაროს შორის მკვეთრი შეუსაბამობაა, რაც მასში იდენტობის კრიზისს და შიდაპიროვნულ კონფლიქტს იწვევს. მისი ქართული წარმოდგენების სამყარო, საკუთარი «მე-ს» სახე, შინაგანად უპირისპირდება იმ სრულიად განსხვავებულ ყოფას, რეალობასა და სოციალური ურთიერთობების გაგებას, რომელიც მას ლონდონში ხვდება. მან მართალია თავი დაიმკვიდრა თავის პროფესიულ სფეროში, მაგრამ, ძალისხმევისა და მცდელობის

მიუხედავად ვერ შეძლო ამ საზოგადოების ტრადიციებთან და ეთიკურ ნორმებთან სრული ადაპტაცია და ინტეგრაცია. მან ვერ შეძლო ვერც თავისი ეროვნული იდენტობის გადალახვა და ვერც ახალი, მყარი იდენტობის კონსტრუირება.

ნიცას მისწრაფება საკუთარი თავის დამკვიდრებისა და იდენტობის რეკონსტრუირებისათვის წარმატებით მთავრდება. იგი ორი წლით მიეგზავრება თავისი რომანისათვის საარქივო მასალების მოსაპოვებლად საქართველოსა და რუსეთში, მოსკოვსა და სანკტ პეტერბურგში, რის შედეგადაც, წარსულის რეფლექსიის საფუძველზე, წერს რომანს საკუთარ თავზე და თავის ოჯახზე. ამ გზით შეძლებს ნიცა გერმანულ კულტურულ და სოციალურ გარემოსთან ინტეგრაციას.

პოსტსაბჭოთა ქაოსში დაბადებულ და უდებოდ გაზრდილ ბრილკას უკვე ვერავითარი ძალა ვეღარ დაათმობინებს თავისი ოცნებების ასრულებას. მას სტასიასავით სურს გახდეს ცნობილი მოცეკვავე და თავისი დიდი დეიდის, ლონდონის ცნობილი მომღერლის, კიტი ჯაშის სიმღერები გამოიყენოს თავისი საცეკვაო გამოსვლების არანჟირებისათვის., რასაც ის უკვე ახერხებს. ის ნიცას ეხმარება უცხოეთში საკუთარი ცის და ფსიქოსოციალური იდენტობის პოვნაში. ბრილკა წინაპრების ხვედრს აღარ შეეგუება, ის იმ მერვე თაობის წარმომადგენელია, რომელიც უსასრულოდ ისწრაფვის დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისაკენ. ის საქართველოს მომავლის და იმედის ხატია.

მონაცემები რომანის ავტორის შესახებ

ნინო ხარატიშვილი, რომელიც 1963 წელს დაიბადა თბილისში, სწავლობდა თბილისის მეექვსე გერმანულენოვან გიმნაზიაში. 12 წლის ასაკში ნინო დედასთან ერთად საცხოვრებლად გადადის გერმანიაში და ორი წლის შემდეგ ისევ თბილისში ბრუნდება. 1999 წელს მეექვსე გიმნაზიას ბრემენის სკოლის დასი ესტუმრა „კავკასიური ცარცის წრის“ დადგმით. რადგან ნინო ბავშვობიდანვე წერდა და გერმანული ენაც კარგად იცოდა, მასწავლებლებმა მას შესთავაზეს თეატრალური პროგრამის შედგენა.

სწორედ მაშინ დაწერა ნინო ხარატიშვილმა პირველი პიესა „სასტუმრო ოთახი“, რომელმაც გერმანელთა დიდი მოწონება დაიმსახურა და ქართველი მოსწავლეები ბრემენში მიიწვიეს. მეექვსე გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ნინო სწავლობს თეატრალური ინსტიტუტის კინოდოკუმენტალისტიკის ფაკულტეტზე, სადაც ქმნის ორენოვან თეატრალურ დასს „Das Fliedertheater“ („იასამნის თეატრი“). 19 წლის ასაკში მის მიერ დაარსებულ თეატრში მას 5 სპექტაკლი ჰქონდა დადგმული, ხუთივე პიესის ავტორი თავად იყო. დრამატული ნაწარმოებების გარდა, ნინო წერდა მოთხრობებსა და ნოველებს გერმანულ და ქართულ ენებზე. 2001 წელს გაზეთ „ახალ ეპოქაში“ გამოქვეყნდა მისი ორი ნოველა - „იქ, სადაც არ ცივა“ და „გაქცევა“, ხოლო 2003 წელს „მწერლის გაზეთში“ - „მტრედები“. 2001 წელს გერმანიაში დაიბეჭდა მისი მოთხრობა „ბიძაშვილები და ბეკინა“

2003 წელს ნინო ხარატიშვილი ჰამბურგის თეატრისა და მუსიკის აკადემიაში, დრამის რეჟისურის ფაკულტეტზე აგრძელებს სწავლას. 2005 წელს მოკლემეტრაჟიანი ფილმით „მტრედები“ დიპლომს იცავს თბილისში, ხოლო 2007 წელს „მედვას“ საკუთარი ვერსიით ამთავრებს თეატრის აკადემიას.

2007 წელს პიესას „გეორგია“ საუკეთესო ინსცენირებისათვის როლფ-მარეს პრიზი, ხოლო 2008 წელს „ლიფ შტაინს“, როგორც საუკეთესო გერმანულენოვან დრამას, ჰაიდელბერგის დრამის ფესტივალის პირველი პრიზი მიენიჭა. ქართველი დრამატურგი 2010 წელს ადალბერტ ფონ შამისოს სახელობის პრემიის ლაურიატი გახდა, ხოლო 2015 წელს ანა ზეგერსის ლიტერატურული ჯილდოს მფლობელი. ნინოს ბევრი სხვა მნიშვნელოვანი პრიზიც აქვს მიღებული: დამოუკიდებელი გერმანული გამომცემლობების მთავარი პრიზი „ჩემი ნაზი ტყუპისცალისთვის“, ბუდენბროკჰაუსის სადებიუტო პრიზი „ჟუჟასთვის“, პრიზი გერმანული ლიტერატურის განვითარებისათვის.

დღეისათვის ნ. ხარატიშვილი 16 პიესის ავტორია („აგონია“ (2007), „დაღლილი ადამიანები - ერთ სივრცეში: (2008), „ალჟირი“ (2009), „ რისხვა“ (2010), „ჩემი უსაშინლესი ბედნიერების წელიწადი“ (2010), „Radio Universe“ (2010) და სხვა.)

2010 წელს გამოიცა მისი პირველი რომანი „ჟუჟა“. „ჟუჟას“ დიდი გამოხმაურება მოჰყვა და გერმანიის მთავარი ლიტერატურული პრემიის ოცეულში შევიდა“. 2011 წელს გამოქვეყნდა მისი მეორე რომანი, „ჩემი ნაზი ტყუპისცალი,“ რომელმაც გერმანიის დამოუკიდებელ გამომცემლობათა ასოციაციის პრიზი მოიპოვა.

2010 წელს საქართველოში პირველად ითარგმნა მისი პიესა „აგონია“ და გამოქვეყნდა გაზეთ „რეზონანსში“, ხოლო 2012 წელს „არტანუჯის“ გამომცემულ „თანამედროვე გერმანულენოვან დრამატურგიაში“ - ოთარ ყარალაშვილის მიერ ნათარგმნი „ლიფ შტაინი“.

2011 წელს გერმანიაში დაიბეჭდა ნინო ხარატიშვილის პიესა „რისხვა“ („Zorn“).

2013 წელს მანანა თანდაშვილის რედაქტორობით გამოიცა ახალგაზრდა ქართველი ქალი ავტორების მოთხრობათა კრებული „იაგუარების ტექნო“, რომელშიც შევიდა ნინო ხარატიშვილის „Die zweite Frau“ („მეორე ცოლი“).

2014 წელს ქართველ მკითხველს საშუალება მიეცა, მშობლიურ ენაზე გასცნობოდა ნინო ხარატიშვილის „ჟუჟას“. ტექსტი ითარგმნა მანანა თანდაშვილის, ეკატერინე რაისნერისა და ნატალია ნადირაშვილის მიერ.

2014 წლის სექტემბერში გერმანიაში გამოიცა ნინო ხარატიშვილის მესამე რომანი „მერვე ცხოვრება (ბრილკასთვის)“, რომელსაც უდიდესი გამოხმაურება მოჰყვა.

ნინო ხარატიშვილის სპექტაკლები იდგმევა ჰამბურგში, კასელში, გიოტინგენში, ვაიმარში, ბერლინში, ვენაში, ციურიხში და ა.შ. ნინო ხარატიშვილის ტექსტები ითარგმნება ქართულად, რუსულად, პოლონურად, ბერძნულად და იტალიურად.

დამოწმებანი:

ერიქსონი 1973: Erikson, Erik H. Identität und Lebenszyklus. Drei Aufsätze. Frankfurt am Main: Suhrkamp Verlag, 1966.

ერიქსონი 1988: Erikson, Erik H. Der vollständige Lebenszyklus. Frankfurt am Main: Suhrkamp Verlag, 1988.

ვილიამსი 1978: Williams, Bernard. Personenidentität und Individuation, In: B. Williams, Probleme des Selbst, Stuttgart: Reclam, 1978.

ლაკლო 1990: Laclau, Ernesto. New Reflections on the Revolutions of our Time. London: Verso Books, 1990.

მეგრელივილი 2011: მეგრელივილი, ქეთევან. „ნინო ხარატიშვილი-ჟუჟა, ჯუჯა თუ სიტყვებს შორის დაკარგული და კვლავ ნაპოვნი აზრი“. ჟურნალი „ცხელი შოკოლადი“. თებერვალი №2, (43), 2011: 29-30.

ჟურნალი: „ცხელი შოკოლადი“. „ქართული წიგნი საერთაშორისო ბაზარზე“. № 86, 2012: 44, 48, 49].

ჟურნალი: „ცხელი შოკოლადი“. იანვარი 2013 № 86, 24-26.

ჟურნალი: „ქართული გერმანიის ქართული სათვისტომოს ორგანო“. №2, (27), მარტი-აპრილი, 2010:23

ჟურნალი: „ტაბულა“. „თეატრი, კულტურა. ლიფ შტაინის შესახებ“. №74, 17-23 ოქტომბერი, 2011.

სმითი 2008: სმითი, ენტონი დ. ნაციონალური იდენტობა. თბილისი: ლოგოს პრესი, 2008.

ხარატიშვილი 2014: Haratischwili, Nino. Das achte Leben (für Brilka). Frankfurt am Main: Frankfurter Verlagsanstalt, 2014.

ფუკო 1976: Foucault, Michel. Überwachen und Strafen. Die Geburt des Gefängnisses (Übersetzt von Walter Seitter) Frankfurt am Main: Suhrkamp, 1976.

ხარატიშვილი 2010: ხარატიშვილი, ნინო. „საჭირო არაა ტრადიციებისთვის გვერდის ავლა, მაგრამ საჭიროა მათი განვითარება და თანამედროვეობასთან შეთავსება“. ინტერვიუ. ესაუბრა ქეთევან ქურდოვანიძე. რეზონანსი, 4 ივლისი. - № 9, 2010: 9.

ჰალი 1999: Hall, Stuart. Kulturelle Identität und Globalisierung. In: Widerspenstige Kulturen Hrsg. Von K. H. Hörning und R. Winter. Frankfurt am Main: Suhrkamp Taschenbuch Wissenschaft, 1999.

ინტერნეტ-რესურსები:

1. ეროვნებათშორისი ურთიერთობების მართვა, მეთოდური სახელმძღვანელო, ადამიანის რესურსების განვითარების ფონდი, რედ. ჯავახიშვილისა ჯ. სარჯველადის ნ.,-თბ,- 2007.
<http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0--->

0prompt-10---4-----0-1l--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZ.z-8-00&cl=CL1.31&d=HASHd5e70ca0185596b943f869&gc=1

2. <http://www.rp-online.de/nrw/staedte/wesel/roman-des-jahres-nino-haratischwili-liest-bei-korn-aid-1.4742805>